26/02/2021

# საქართველოს საპატრიარქოსთან ქართველოლოგიური კვლევის ცენტრი დაარსდა



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ბრძანებით, 2021 წლის 15 თებერვლიდან საქართველოს საპატრიარქოსთან დაარსდა ქართველოლოგიური კვლევის ცენტრი, – ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, უწმიდესისა და უნეტარესის გადაწყვეტილებით, ცენტრს საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტი შიო (მუჯირი) და აკადემიკოსი რისმაგ გორდეზიანი უხელმძღვანელებენ.

„სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ბრძანებით, 2021 წლის 15 თებერვლიდან საქართველოს საპატრიარქოსთან დაარსდა ქართველოლოგიური კვლევის ცენტრი.

უწმიდესისა და უნეტარესის გადაწყვეტილებით, ცენტრს უხელმძღვანელებენ საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტი შიო (მუჯირი) და აკადემიკოსი რისმაგ გორდეზიანი“, – ნათვამია საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

— imedinews.ge